# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 18 08
27/03/2020

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების ( სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის, 36-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 16/03/2020 წლის N07/119 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გუგუთში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 82.02.42.098 (სახნავი), დაზუსტებული ფართობი 93553,00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 720,00 (შვიდასოცი) ლარი წელიწადში.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე